№18(19) 10.05.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი


**ნომერში:**

**მასპინძლები და სტუმრები**
ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში
მე-3 გვერდი

**„ინტერი" — „რომა"**
პირველი რაუნდი
მე-7 გვერდი

**მწვრთნელები გზაგასაყარზე**

დაუბრუნდება ტრაპატონი „ბებერ ქალბატონს"?
მე-8 გვერდი

**ბოლგარების ფენომენი**
მამა და შვილები
მე-8 გვერდი





## ოპერატიული ინფორმაცია... ოთხწლიანი დაგვიანებით

„Наш Тамаз Имнаишвили"-ო. ისეთი ინტონაციით გამოაცხადა პროგრამა "ვრემიას" დიქტორმა, თითქოს მის ალალ ბიძაშვილზე იყო ლაპარაკი. საქმე ეხება სეულიდან გადმოცემულ ცნობას, რომლის თანახმად ქართველმა მსროლელმა მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო თასის გათამაშებაში. მას შემდეგ, რაც ჩვენმა სპორტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ასეთი ინფორმაციის მოსმენა, ჯერჯერობით მაინც, საკვირველია და ჩვენც, ბუნებრივია, მაშინვე თამაზ იმნაიშვილის მოძებნა ვცადეთ. იგი თბილისში აღმოჩნდა...

— ამ დღეებში მცხეთას არ გავცილებივარ, — გვიპასუხა მან, — ისე, მართლაც დავიკავე მეორე ადგილი სეულში, მსოფლიო თასის გათამაშებაზე, მაგრამ ეს იყო... 1987 წელს. ოღონდ პროგრამა "ვრემიას" ამაზე სიტყვა არ დასცდენია...

**— თქვენი აზრით, რატომ გადმოსცეს ახლა ასეთი ცნობა?**

— მე მაშინვე ტელეფონით დავუკავშირდი საკავშირო სპორტკომიტეტის ოფიციალურ წარმომადგენელს სროლაში ალექსანდრე მანაენკოვს და ჩემი აღშფოთება გამოვთქვი. მითხრა, თვითონ კორეელებს შეეშალათო. არ ვიცი, სიმართლე თქვა თუ არა, მაგრამ იქ მეორე ადგილი ესტონელ ინეშინს დაუკავებია.

**— თუ ჩანს რაიმე პერსპექტივა, რომ თქვენ, ან საქართველოს სხვა მსროლელებმა უახლოეს დროში მონაწილეობა მიიღოთ საერთაშორისო შეჯიბრებებში?**

— ახლახანს მიუნხენში, სროლის საერთაშორისო კავშირის მსაჯთა კომისიის სხდომაზე გაემგზავრა შოთა ქველიაშვილი. მან წაიღო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიმართვა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისადმი. ასე რომ ვიცდით...

ესაუბრა გიორგი იოსებიძე.



სეპო რეტი

## სად გადაიტანეს სიმძიმის ცენტრს

რამდენიმე წლის წინათ, გერმანელი შუბისმტყორცნელის უვე-ჰონის შედეგით შეფიქრიანებულმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კომისიამ გადაწყვიტა რითიმე ზღვარი დაედო ამ სახეობაში ტყორცნის სიშორისათვის. იქნებ გახსოვდეთ, მაშინ ჰონის მიერ ნატყორცნმა შუბმა მთელ მოედანს გადაუფრინა (104,80 მ.) და კინაღამ მეორე მხარეს მყოფ მძლეოსნებს მოხვდა. სპეციალისტებმა შუბის სიმძიმის ცენტრი 4 სმ-ით წინ წასწიეს და ამის შემდეგ, ერთხანობას, ეს მძლეოსნური იარაღი შეჯიბრებებზე უკვე სადღაც 80 მეტრის ზღვართან „ჩაქინდრავდა" ხოლმე წვერს ბალახში.

მაგრამ სპორტში პროგრესს ვერ შეაკავებ, შედეგებმა ისევ დაიწყო ზრდა. და აი, ორიოდე დღის წინათ, ტოკიოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ფინელმა სეპო რეტიმ 91 მეტრი და 98 სანტიმეტრი აჩვენა. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია, რომელიც მეტრით ჯობნის ძველს. იქვე, ჭოკით ხტომაში ახალი მსოფლიო რეკორდი (ღია სტადიონებისათვის) დაამყარა დონეცკელმა სერგეი ბუბკამ — 6 მეტრი და 7 სმ.(მეორე გვერდზე გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენმა ამ შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ მისცა „სარბიელს").

## ქართული ტანდემი შვეციაში?

უკვე გაცნობეთ, რომ თბილისის „იბერიის" ყოფილი ფეხბურთელი სოსო ჭედია შვეციის ქალაქ სუნდსვალის იფკ-ის შემადგენლობაში თამაშობს. რამდენიმე დღის წინათ თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ამ კლუბის გენერალური მენეჯერი ბო იაკობსონი. ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— ბატონო ბო, მას შემდეგ, რაც სოსო ჭედია სუნდსვალში გადმოვიდა, ჩვენს ფეხბურთისგულშემატკივართა ინტერესს იწვევს თქვენი კლუბის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. გთხოვთ გვიამბოთ ჩემპიონატის მიმდინარეობაზე და, რა თქმა უნდა, თქვენს გუნდზეც.**

— დღეს შვეციაში საკმაოდ მაღალია ფეხბურთის დონე. გვყავს კლუბები, რომლებსაც ღირსეულად შეუძლიათ გამოსვლა ნებისმიერი რანგის ტურნირებში. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი მათ რიგებს ჯერ ვერ მიეკუთვნება, მაგრამ პროფესიულ დონეზე კეთდება ყველაფერი, რათა კლუბმა დროულად დაძლიოს არსებული პრობლემები და ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ფეხბურთში. ვფიქრობ, ამისკენ ჩვენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, როცა შევძელით სოსოს გადაბირება. გუნდის ხელმძღვანელობამ ეს ნიჭიერი ფეხბურთელი შვეციაში „იბერიის" ტურნეს დროს შენიშნა. მოხარული ვარ, რომ დღეს იგი უკვე იფკ-ში ირიცხება. ჭედიამ უდავოდ გაამართლა ჩვენი იმედები — მისი წყალობით გუნდის დაცვის ხაზი გაცილებით მობილურად და დამაჯერებლად თამაშობს.

**— თქვენ ჭედიას სიტყვებით შეამკეთ ჩვენი თანამემამულე. თუ ასეა, მაშინ რით იყო გამოწვეული გუნდის კატასტროფული მარცხი „მალმოსთან"?**

— რაც შეეხება ჭედიას, იგი ამ შეხვედრაში არ მონაწილეობდა, ტრამვა მიიღო და უკვე 4 ტურია რაც არ უთამაშია... „მალმიო" შვეციის ერთ-ერთი წამყვანი კლუბია, ამიტომ გასაკვირი არაფერია, რომ წავაგეთ. თუმცა, სოსოს რომ ეთამაშა, ასე კატასტროფულად, 0:6 არ დავმარცხდებოდით.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## მანქანა — ურიგოდ, თანაც უფასოდ...

ვისაც კი ხუთიოდე კილომეტრის გარბენა შეუძლია, გულწრფელად ვურჩევთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, რომელიც 25 მაისს გაიმართება თბილისში (იგი 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 26 მაისს ეძღვნება). ამ ისტორიული თარიღის აღნიშვნის გარდა, კროსს სხვა მისიაც აკისრია: ხელმისაწვდომად აქციოს შეჯიბრება ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვის და ვარჯიშის მიმართ ინტერესი გაუღვივოს მათ. ამასვე ემსახურება ჩვენი პირობებისთვის მეტად უჩვეულო პრიზები, მათ შორის ავტომანქანა, რომელსაც მიიღებს ვეტერანთა (1951 წელს ან უფრო ადრე დაბადებულთა) შორის გამარჯვებული. ძვირფასი საჩუქრები გადაეცემათ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (მათ შორის ბავშვებში, რომლებიც უფრო მოკლე მანძილზე იასპარეზებენ) საპრიზო ადგილებზე გასულ მონაწილეებს.

უკვე საბოლოოდ დაზუსტდა ტრასა. გარბენი დაიწყება თავისუფლების მოედანზე, გაივლის რუსთაველის პროსპექტსა და მერაბ კოსტავას ქუჩას, გმირთა მოედანს, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტებს და ეროვნულ სტადიონზე, საფეხბურთო მატჩის ტაიმებს შორის შესვენებაზე დასრულდება. შეჯიბრების მოთავე და ორგანიზატორია საქართველოს სპორტის დეპარტამენტი.

ასპარეზობაში მონაწილეობისათვის საჭიროა ექიმის ცნობა და ასაკის დამადასტურებელი საბუთი.

### თბილისელ მშვილდოსანთა ტრიუმფი

ბათუმში, საქართველოს მშვილდოსანთა ჩემპიონატში 17 წლის თბილისელმა მსროლელმა ხათუნა ქვრივიშვილმა მ-1 ვარჯიშში 1322 ქულა მოაგროვა, ფინალში კი ძალზე მწვავე ორთაბრძოლაში ერთი ქულით აჯობა თანაგუნდელ ნატო ნაცარიძეს და ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. ვაჟთა შორისაც თბილისელმა დავით ლეკვეიშვილმა გაიმარჯვა (ტექნიკური შედეგები იხ. მე-7 გვერდზე).

### ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „გორდა" (რუსთავი) 3:3
„ქუთაისი" — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1

## მძლეოსნობა

# რეკორდების რეკორდსმენი


სერგეი ბუბკა

**— სერგეი, შარშან, რა დასამალია, ბევრმა ხელი ჩაიქნია თქვენზე. ფიქრობდნენ, რომ უკვე მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწევდით. საკავშირო ნაკრებშიც კი უფრო ახალგაზრდებს გატაულინსა და ეგოროვს ანიჭებდნენ უპირატესობას. და აი, უცებ რეკორდების ასეთი სერია...**

— რატომ „უცებ" თავისით არც სპორტში, არც ყოველდღიურ ცხოვრებაში არაფერი გამოდის. შარშანდელი წელი ჩემთვის მართლაც არ იყო შედეგიანი. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც უნდა ყოფილიყო. მე კავშირი გავწყვიტე სპორტსაკომთან, კომერციულ საქმიანობას, ერთობლივი საწარმოს შექმნას მოვკიდე ხელი. ახალი საქმე მუდამ დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ ნაკლებს ვვარჯიშობდი. შეჯიბრებებში ნაკლებად გამოვდიოდი. ამით აიხსნება დაბალი შედეგები. წლევანდელი ზამთრის სეზონის წინ კი ყველაფერი პირიქით მოხდა. მე გადავწყვიტე ყველასათვის დამემტკიცებინა, რომ ადრე ჩაიქნიეს ჩემზე ხელი. მგონი მოვახერხე ეს.

**— მაშინ თუ შეიძლება, ამ კითხვაზე მიპასუხეთ: ახლა „ზამთრის" მსოფლიო რეკორდი 612 სანტიმეტრია, „ზაფხულისა", რომელიც ასევე თქვენ გეკუთვნით — 606. როდის დაეწევა „ზაფხულის" რეკორდი „ზამთრისას"?**

— მე საერთოდ ცრუმორწმუნე კაცი ვარ, წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. პირველ ყოვლისა ამ სეზონში ტოკიოში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის მოგებაც უთუოდ უნდა ვცადო. თუ ამ პირველობის ოქროს მედალი არ მოვიპოვე, ყველა ჩემს რეკორდს ფასი დაეკარგება. გარდა ამისა, ეს არის რიგით მესამე მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში და ამიტომ ცხადია, ჯერ არც ერთ სპორტსმენს არ მოუპოვებია ოქროს მედლები სამ მსოფლიო ჩემპიონატში. მე მინდა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ვიყო. მეტისმეტი პატივმოყვარეობაა? შეიძლება, მაგრამ სპორტში უამისოდ ვერას გახდები, თუ გინდა ჩემპიონი და რეკორდსმენი იყო.

რაც შეეხება ზაფხულის რეკორდებს, 620 სანტიმეტრი მე არარეალურად არ მეჩვენება.

**— ერთხელ თქვენმა მწვრთნელმა ვიტალი პეტროვმა თქვა, ბუბკას პოტენციალი სადღაც 630 სანტიმეტრზე უნდა ვიგულისხმოთო...**

— ვიტალი პეტროვი, მე ვფიქრობ, არ შემცდარა ჩემში... წლევანდელი სეზონი უკანასკნელი ხომ არ არის.

**— პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ კონტრაქტს დებთ საზღვარგარეთ.**

— ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. ბერლინის ოლიმპიურმა კლუბმა მართლაც შემომთავაზა კონტრაქტი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა ზოგიერთი პრობლემა. ასე რომ, ეს საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო და ძნელია ითქვას, როგორ გადაწყდება. ასე თუ ისე, წლევანდელ სეზონში მთავარია ტოკიოში გავიმარჯვო, მერე კი ბარსელონის ოლიმპიადაც მოგვადგება კარს.

**— ჰოკით ხტომის ისტორიაში ცნობილია ერთადერთი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი — ამერიკელი რობერტ რიჩარდსი, რომელმაც 1952 და 1956 წლების თამაშები მოიგო...**

— ვეცდები რომ იყოს მეორეც — სერგეი ბუბკა. დიდი გულისტკივილით ვიგონებ 1984 წელს, ლოს-ანჯელესის გამოტოვებულ ოლიმპიადას. იქ მქონდა წარმატების შანსი, თუმცა ბარსელონაც ხომ მაძლევს შესაძლებლობას, რომ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე.

ესაუბრა ზურაბ გელაშვილი

## ფეხბურთი

# „საბჭოთა და უცხოელი" უცხოელები


ბურთითაა ვიტალი დარასელია-უმცროსი

გია ახალაძის ფოტო

თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა ბავშვთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. ორგანიზატორი: პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ვაკე". „ვაკელებმა" მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გუნდები მოიწვიეს, მაგრამ მშფოთვარე საქართველოში ჩამოსვლა, მხოლოდ საფრანგეთის ქალაქ ტულონის გუნდმა გაბედა. შეჯიბრების თავკაცმა, ბატონმა ავთანდილ ჭკუასელმა გვითხრა, რომ ტურნირი უფრანგებოდაც საერთაშორისო იქნებოდა, რადგან ჩამოსულები იყვნენ ლიტველები, რუსები და სომხები, თუმცა „არასაბჭოთა უცხოელების" მონაწილეობამ თავისებური ლაზათი შეძინა მას. ტურნირი ჩვენთვის მძიმე პერიოდს დაემთხვა, მაგრამ როდესაც საქართველოში მიწისძვრა მოხდა, გუნდები უკვე თვითმფრინავებში ისხდნენ და თბილისისკენ მოფრინავდნენ. ორგანიზატორებმა მზა აფიშებიც კი აღარ გამოაკრეს. ყველაფერი სადად და შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე ჩატარდა. შეჯიბრებები სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. 1978 წელს დაბადებულთა შორის იმარჯვა თბილისის 35-ე სკოლის გუნდმა და გაიოზ ჯიჯელავას სახელობის პრიზს დაეუფლა. მეორე იყო „მთვარის გლობუსი" (თბილისი), მესამე ოზურგეთის გუნდი. 1979 წელს დაბადებულებში, გრიგოლ გაგუას პრიზი მოიგო „ვაკემ", მეორე ადგილზე თბილისის „მერანი" გავიდა, მესამე იყო „რუსთავი-79". მიხეილ პირაევის პრიზზე, 1980 წელს დაბადებულებს შორის პირველი და მეორე ადგილი „ვაკის" ორმა გუნდმა დაიკავა, მესამე იყო „ბათუმი". გამარჯვებულ გუნდებს 1000 მანეთი გადაეცათ, მეორე ადგილზე გასულთ 750, მესამე პრიზიორებს კი 500. სამივე ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, ბომბარდირი და მაყურებელთა სიმპატიის პრიზის მფლობელი. თითოეულ მათგანს 50 მანეთი ერგო. 200 მანეთით დაჯილდოვდნენ საუკეთესო მწვრთნელები, დარიგდა, მრავალი პრიზი და სუვენირი, სავარაუდოა; რომ ტურნირი ყოველწლიური გახდება.

ილია ბაბუნაშვილი

# მეგობრობის გამო

ბავშვთა საერთაშორისო ტურნირზე, საფრანგეთის ქალაქ ტულონის დელეგაციის ხელმძღვანელი და გუნდის მწვრთნელი გახლდათ მიშელ ტარო.

**— ბატონო ტარო, საქართველოში, ასეთ დროს გუნდის ჩამოყვანას ბევრი ქვეყანა მოერიდა, გაბედულნი მარტო თქვენ აღმოჩნდით.**

— ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი ვაჟკაცობა კი არა, მეგობრობაა. ტულონის „რასინ კლუბის" პრეზიდენტს ბატონ რეველს და ბატონ ჭკუასელს ხომ კარგა ხანია ეს გრძნობა აკავშირებთ. ჩვენ პატივი გვქონდა შარშან გვემასპინძლა „ვაკისათვის", მეგობრობა კი მხოლოდ ტულონის მიწაზე შეხვედრებით არ შემოიფარგლება. სხვათა შორის, ჩვენი ვიზიტი ერთგვარად გაცდა სპორტულ ჩარჩოებს, რადგან გვახლდა ქალაქის მერის მოადგილე და გაზეთ „ვარმატეს" კორესპონდენტი.


მიშელ ტარო

გია ახალაძის ფოტო

**— ტურნირით კმაყოფილი ხართ?**

— ვთვლი, რომ აქ ჩვენი თამაშის დონე ამაღლდა. ბევრი გუნდი, ტექნიკურად და ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო. ჩვენ კვირაში ერთხელ ვვარჯიშობთ ხოლმე, აქაური გუნდები კი, როგორც გაირკვა კვირაში ხუთჯერ. გარდა ამისა ჩვენი ბავშვები ამხელა მოედანზე თამაშს შეჩვეულები არ არიან ასაკითაც ცოტა უმცროსები „ვიყავით".

**— საერთოდ, საჭიროა ასეთი ტურნირები?**

— ტულონში ხშირად ვატარებთ ტურნირებს, ოღონდ ადრე, მათში მხოლოდ ფრანგული გუნდები მონაწილეობდნენ. პირველი უცხოური გუნდი, რომელიც შარშან მოვიწვიეთ „ვაკე" იყო. წელს აქ ვართ და უკვე დავრწმუნდით, რომ ასეთი ტურნირები და კონტაქტები აუცილებელია.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი

# რომელი გადაწონის?


გია ახალაძის ფოტო

ახლა ჩვენს სპორტში ყველაზე მწვავედ დგას საკითხი, რომ ყველა სახეობაში (ალბათ ფეხბურთის გარდა) შეიქმნას ოპტიმალური სტრუქტურები, რომლებიც დღევანდელ ექსტრემალურ პირობებს გაუძლებს და სამომავლო იმედებსაც მოგვცემს. იგივე ან შეიძლება მეტიც კი ითქმის მძლეოსნობაზეც მის წინაშე მდგარ პრობლემათა სიმრავლის გამო.

რა გაგვაჩნია დღეს მძლეოსნობაში? — მისი დიდი, თუმცა უღონო სტრუქტურა, შეგირდთა და მწვრთნელთა მოზრდილი კონტინგენტი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის კომპეტენცია დიდ ეჭვს იწვევს, საკმაოდ სუსტი ნაკრები გუნდი, სპორტსკოლების ტოტალური სისტემა, რომელსაც ალბათ უკვე გაუვიდა ყავლი... და კიდევ: პოპულარობის „მწვავე დეფიციტი", რაც ძალზე საწყენი ჩანს „სპორტის დედოფლის" დღევანდელი მსოფლიო სტატუსის ფონზე... მოკლედ, არც ისე სასიხარულო სურათია.

სულ რომ არ გაგვეტყდეს გული „პასივს" იქნებ „აქტივიც" მოვუყოლოთ: ეს, პირველ ყოვლისა, იქნება ჩვენი რამდენიმე საკმაოდ კარგი სპორტული ბაზა (თუნდაც ეროვნული სტადიონი ავიღოთ), დაახლოებით ამდენივე პერსპექტიული ან უკვე მაღალი კვალიფიკაციის მძლეოსანი, სპეციალისტებიც, ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ამ ძნელ პერიოდშიც კი აღუთქვეს სპორტს, გარკვეულად — ტრადიციაც და... დანარჩენი იმედი თვითონ მძლეოსნობის დღევანდელი არსიდან გამომდინარეობს. მისი სახე ახლა მეტად მრავალფეროვანია, რაც კარგ პერსპექტივას გვპირდება: მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენ მეზობელ ქვეყნებშიც იმდენნაირი შეჯიბრება, კროსი, მარათონი თუ სხვა ათასი ტურნირი ტარდება, არა გვგონია სპორტული ბლოკადის ბადემ, რომლის სიმაგრესაც მალე ვიგრძნობთ, ყველგან შეძლოს გზის მოჭრა (ყველას, უბრალოდ ვერ გასწვდებიან). ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მხოლოდ საშინაო შეჯიბრებების იმედად ყოფნა, მძლეოსნობის სპეციფიკის გამო, იმაზე ადრე ჩ[illegible]კლავს ვარჯიშის ხალისს სპორტსმენებს, ვიდრე საერთაშორისო ასპარეზზე „ოფიციალურად" გაეხსნებათ გზა. ოღონდ საჭიროა გონივრულად და დიდი ენერგიით ვეძებოთ მეტოქეები, საჩვენო ხალხი ყველგან არის. შინაური სტრუქტურის მოწესრიგებას კი, რომელიც ასევე გადაუდებელი საქმეა, ალბათ მეტი ძალისხმევა სჭირდება.

ამ მიმართულებით, ვიმედოვნებთ, პირველი ნაბიჯი 23 მაისს გადაიდგმება, როცა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის არჩევნები ჩატარდება. მანამდე, 18-19 მაისს, ჩვენი გუნდი თბილისში მოლდოვისა და აზერბაიჯანის სპორტსმენებს შეხვდება (სომხეთიდან ცნობა მოვიდა უსახსრობის გამო ვერ ჩამოვდივართო). ამ ფოტოებზე კი აღბეჭდილია ფრაგმენტები თბილისის ღია ჩემპიონატიდან, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა.


გია ახალაძის ფოტო

# ქართული ტანდემი შვეციაში?

(დასასრული. დასაწყისი პირველ გვერდზე)


გია ახალაძის ფოტო

**— ჭედია სულ რამდენიმე თვეა თქვენს გუნდებში ირიცხება და შვედურ ენას ასე ჩქარა ალბათ ვერ შეისწავლიდა. საინტერესოა, როგორ ახერხებთ ამ ენობრივი პრობლემის გადაჭრას?**

— სოსო ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და აღარ სჭირდება თითოეული საფეხბურთო ნიუანსის ახსნა. ეს რა თქმა უნდა, ძალზე გვიადვილებს კონტაქტს. ამასთან მან საკმაოდ სწრაფად აუღო ალღო ჩვენს ენას. შეიძლება ითქვას, ყველაფერ აუცილებელზე უკვე საკმაოდ კარგად ლაპარაკობს.

**— ბატონო ბო, იქნებ თქვენი თბილისში ჩამოსვლის მიზეზი გაგვანდოთ?**

— დასამალი არაფერი მაქვს, პირდაპირ გეტყვით: დიდი სურვილი მაქვს უმოკლეს დროში ჩვენს კლუბში ვიხილო კახი ცხადაძეც. კახის თამაში რამდენჯერმე ვნახე. გონიერი ფეხბურთელია, ამიტომ, თუკი „იბერიასთან" მოლაპარაკება შედეგს გამოიღებს, ჩვენს გუნდში ქართულ ტანდემს შევქმნით. გარდა ამისა, მთელი გუნდი მივიწვიე შვეციაში. გადაწყდა, „იბერია" 10 ივლისს ჩამოვა ჩვენთან სტუმრად. მასთან ერთ ან ორ მატჩს აუცილებლად ვითამაშებთ, თან მოლაპარაკებასაც გავაგრძელებთ, ვნახოთ. ვფიქრობ, ტყუილად არ ჩამოვსულვარ თბილისში.

ესაუბრა სანდრო თავაძე.

## რაგბი

# ტურის ანონსი

ხვალ განახლდება საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ზემო იმერეთში მომხდარმა მიწისძვრამ ერთი კვირით შეაფერხა. ეროვნულ ლიგაში წინა შაბათ-კვირას გაცდენილი თამაშები ახლაღა გაიმართება, ამ უქმეებისათვის დადგენილი ტური კი პირველი ეტაპის ბოლოსთვის, 15-16 ივნისისათვის გადაიდო. სხვაფრივ ამ ლიგის თამაშთა განრიგი უცვლელია. სამაგიეროდ, ამერისა და იმერის ლიგების დარჩენილი პროგრამა წინდაწინ გამოცხადებულზე ერთი კვირით გვიან გაიმართება.

მაშ ასე, ხვალ ითამაშებენ: „მეორე აკადემია" — „ივერია" (ვარკეთილში, 12ს.), „სამედიცინო" — „უნივერსიტეტი" (ვარკეთილში, 16 ს.), „აკადემია" — „ვესტა" (სსი-ში, 17ს.) „გელათის სკოლა" — „სათაფლია".

ზეგ: „ყოჩები" — „გელათი" (ვაკეში, 17ს. და 30წთ.) „აიეტი" — „ფაზისი", „ჯანი" — „ლილე".

ოთხშაბათს (15.V): „აია" — „შევარდენი".

ერონული ლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 3 | 3 | 0 | 0 | 65:14 | 12 |
| 2. გელათი | 3 | 2 | 0 | 1 | 27:32 | 9 |
| 3. მიმინო | 3 | 1 | 1 | 1 | 28:24 | 7 |
| 4. რაში | 2 | 1 | 0 | 1 | 15:24 | 5 |
| 5. იმერეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 32:56 | 5 |
| 6. ვესტა | 2 | 1 | 0 | 0 | 56:0 | 4 |
| 7. შევარდენი | 1 | 1 | 0 | 0 | 20:15 | 4 |
| 8. ყოჩები | 3 | 0 | 1 | 2 | 21:82 | 4 |
| 9. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | 12:29 | 3 |

ამერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიხი | 2 | 1 | 0 | 73:12 | 10 |
| 2. ივერია | 2 | 1 | 0 | 48:42 | 10 |
| 3. რუსთავი | 2 | 0 | 1 | 30:24 | 9 |
| 4. უნივერსიტეტი | 1 | 0 | 2 | 63:24 | 6 |
| 5. სამედიცინო | 1 | 0 | 2 | 25:14 | 6 |
| 6. მეორე აკად. | 0 | 0 | 3 | 0:123 | 3 |

იმერის ლიგა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჯანი | 3 | 0 | 0 | 50:30 | 12 |
| 2. სათაფლია | 2 | 1 | 0 | 80:18 | 10 |
| 3. აიეტი | 1 | 1 | 1 | 49:34 | 7 |
| 4. გელ. სკოლა | 1 | 0 | 2 | 38:56 | 6 |
| 5. ფაზისი | 1 | 0 | 2 | 28:75 | 6 |
| 6. ლილე | 0 | 0 | 3 | 10:42 | 3 |

# 1981

# 13 მაისი

## სარბიელი

სპეცგამოშვება

არადა, თითქოს გუშინ იყო: ტელევიზორებთან მიჯაჭვული მილიონობით გულშემატკივარი,

შორეული დიუსელდორფი და რაღაც დიდის მოლოდინში გარინდული საქართველო. ვიტალი დარასელიას ვირტუოზული სოლო-გოლი და უსაშველოდ გაჭიმული ბოლო წუთები. საფინალო სასტვენის ხმა და ქუჩაში გამოსული ზღვა ხალხი.

სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო!

თბილისის "დინამო" — ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი!

ათი წელიწადი გასულა, მაგრამ დრო ვერ გაახუნებს იმ დიდ სიხარულს, ენით აუწერელსა და გამოუთქმელს. კიდევ მრავალ ათწლეულს გასწვდება იმ ბრწყინვალე გამარჯვების ექო.

1981 წლის 13 მაისი — ყველაზე ბედნიერი დღე ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ასრულდა ფეხბურთელთა და გულშემატკივართა მრავალი თაობის ოცნება — საქართველოს პირველმა გუნდმა ძლევამოსილად დაიპყრო ევროპული ფეხბურთის ოლიმპი.

მაშინ სხვა დრო იყო. ხალხი სტადიონზე იკლავდა ყიჲს, მაყურებელს ვერ იტევდა მრვალათასიანი ტრიბუნა. რამდენი რამ ახსოვს თბილისის "დინამოს" სტადიონს, აწ უკვე ეროვნულად წოდებულს. სანუკვარი ბილეთის რიგში გათენებული ღამეები, თვალშეუვალი ფინტები და ულამაზესი გოლები, გამარჯვების სიხარული და სინანული მარცხის გამო. ბორია პაიჭაძე და ბასა ღოღობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა და შოთა იამანიძე, მიშა მესხი და სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია და მურთაზ ხურცილავა... დიდი ძალა აქვს ტრადიციას. ამ საძირკველზე ამოიმართა ქართული ფეხბურთის ახალი თაობა, ძალმოსილი და ღირსეული, რომელმაც ხორცი შეასხა ჩვენს ოცნებას და გვაჩუქა 13 მაისის ღამე.

საბჭოთა სპორტის არტახებში მომწყვდეულ ქართულ ფეხბურთს გულშემატკივარიც ბევრი ჰყავდა და მოშურნეც. ამიტომაც იძენს ის გამარჯვება სპორტული გმირობის მნიშვნელობას. გამარჯვება, რომელმაც გააერთიანა წარსული და მომავალი. ამიერიდან თავისი გზით ივლის ქართული ფეხბურთი, დამოუკიდებელი, თუმცა ჯერ კიდევ დიდ სარბიელს მოკლებული.

თავისუფალი საქართველო თავისუფალი ქართული სპორტით უნდა წარსდგეს მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის წინაშე.

წინ არის ახალი გამარჯვებები!



დინამო — ტვენტე 3:2

1972-73

უეფას თასი

1/32 "ტვენტე" — 3:2, 0:2



დინამო — ტოტენჰემი 1:1

1973-74

უეფას თასი

1/32 "სლავია" — 4:1, 0:2
1/16 ოფკ — 3:0, 5:1
1/8 "ტოტენჰემი" — 1:1, 1:5



დინამო — კარდიფ სიტი 3:0

1976-77

თასების თასი

1/16 "კარდიფ სიტი" — 0:1, 3:0
1/8 მტკ — 1:4, 0:1



დინამო — ინტერი 0:0

1977-78

უეფას თასი

1/32 "ინტერი" 1:0, 0:0
1/16 „ბკ კოპენჰაგენი" 4:1, 2:1
1/8 „გრასჰოპერსი" 1:0, 0:4



დინამო — ნაპოლი 2:0

1978-79

უეფას თასი

1/32 "ნაპოლი" — 2:0, 1:1
1/16 "ჰერტა" — 0:2, 1:0



დინამო — ლივერპული 3:0

1979-80

ჩემპიონთა თასი

1/16 "ლივერპული" — 1:2, 3:0
1/8 "ჰამბურგი" — 1:3, 2:3



დინამო — ფეიენოორდი 3:0

1980-81

თასების თასი

1/16 "კასტორია" — 0:0, 2:0
1/8 "უოტერფორდი" — 1:0, 4:0
1/4 "ვესტ ჰემი" — 4:1, 0:1
1/2 "ფეიენოორდი" — 3:0, 0:2
ფ "კარლ ცაისი" — 2:1



დინამო — სტანდარდი 0:1

1981-82

თასების თასი

1/16 "გრაცერ აკ" — 2:0, 2:2
1/8 "ბასტია" — 1:1, 3:1
1/4 "ლეგია" — 1:0, 1:0
1/2 "სტანდარდი" — 0:1, 0:1



დინამო — ნაპოლი 2:1

1982-83

უეფას თასი

1/32 "ნაპოლი" — 2:1, 0:1



დინამო — ვერდერი 1:1

1987-88

უეფას თასი

1/32 "ლოკომოტივი" — 1:3, 3:0
1/16 "ვიქტორია" — 2:1, 0:0
1/8 "ვერდერი" — 1:2, 1:1

# 13 მაისი '81



## 1/16

„კასტორია" (საბერძნეთი) — „დინამო" 0:0

კასტორია. „კოსტასტოვლიოს" სტადიონი. 17.09.1980. 20.000 მაყურებელი. მსაჯი ს. მარკა (რუმინეთი).

„კასტორია": ცრიმიდის, ალექსიადის, კალაიძიდის, კოპანიდის, ხალანიდისი (მერკუმანიდის, 63), მარისხისი, ვენცაკისი (ვოიცოვიდის, 63), ლოილოსი, ხაინძისი, ცირონისი, მაჰავაპოლოუ.

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (თავაძე, 77), ყიფიანი, შენგელია (მუჯირი, 77).

გაფრთხილება გაბელია.

„დინამო" — „კასტორია" 2:0 (0:0)

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 1.10.1980. 80.000 მაყურებელი. მსაჯი დ. მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია).

„დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე, 52), შენგელია (ჩელებაძე, 86).

„კასტორია": ცრიმიდის, ალექსიადის, კალაიძიდის, ვოიცოვიდის, მერკუმანიდის, მარისხისი, ვენცაკისი, მაჰავაპოლოუ, ლოილოსი, ხაინძისი, ცირონისი.

გოლები: შენგელია (52), გუცაევი (80).

გაფრთხილება მარისხისი.

## 1/8



„უოტერფორდი" (ირლანდია) — „დინამო" 0:1 (0:0)

უოტერფორდი. „კილკოჰან-პარკის" სტადიონი. 22.10.1980. 8.000 მაყურებელი. მსაჯი ნ. როლესი (ლუქსემბურგი).

„უოტერფორდი": თომასი, ოჩმონი (ფიცპატრიკი, 58), გარდნერი, ფინუკანი, დანლი, ქეჯსონი, მურეი, მადიგანი, კერკი, მაკარტი (კერი, 78), მიგანი.

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე, 20), ყიფიანი, შენგელია (კვრივიშვილი, 83).

გოლი: შენგელია (56).

გაფრთხილება დარასელია.

„დინამო" — „უოტერფორდი" 4:0 (0:0)

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 5.11.1980. 70.000 მაყურებელი. მსაჯი ი. ტოდოროვი (ბულგარეთი).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ჭილაია, 82), დარასელია, სულაქველიძე, გუცაევი (ქორიძე, 84), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

„უოტერფორდი": თომასი, ოჩმონი, გარდნერი, ფინუკანი, დანლი, ქეჯსონი, მურეი, მადიგანი, კერკი, მაკარტი, მიგანი.

გოლები: დარასელია (66, 79), ჩივაძე (74), ჭილაია (87).

გაფრთხილება მიგანი.



## 1/4

„ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი, ინგლისი) — „დინამო" 1:4 (0:2)

ლონდონი. „აპტონ-პარკის" სტადიონი. 4.03.1981. 35.000 მაყურებელი. მსაჯი ა. გარიდო (პორტუგალია).

„ვესტ ჰემ იუნაიტედი": პარკსი, სტიუარტი, ლემპარდი, ბონდსი, მარტინი, დევონშირი (ალენი, 46), ნევილი, გოდარდი, კროსი, ბრუკინგი, პაიკი.

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

გოლები: ჩივაძე (24), გუცაევი (31), კროსი (54), შენგელია (55, 67).

გაფრთხილება ხინჩაგაშვილი.

„დინამო" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 0:1 (0:0)

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 18.03.1981. 80.000 მაყურებელი. მსაჯი ე. ეშვაილერი (გფრ).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ჭილაია (მუჯირი, 77), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„ვესტ ჰემ იუნაიტედი": პარკსი, სტიუარტი, ლემპარდი, ბონდსი, მარტინი, ალენი, ნევილი, გოდარდი (პაისონი, 65), კროსი, ბრუკინგი, პაიკი.

გოლი: პაისონი (87).





## 1/2

„დინამო" — „ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) 3:0 (2:0)

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 8.04.1981. 80.000 მაყურებელი. მსაჯი ტ. ფრედრიქსონი (შვედია).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (ხიზანიშვილი, 61), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ქვანია, 65).

„ფეიენოორდი": ჰილე, ნილსენი, ტროსტი (ბრარდი, 78), სტაფლეუ, ვამსტეკერსი, ბოუვენსი, ფერმეულენი, ბუდინგი, ნოტენი, პეტერსონი (დე ლეუვი, 55), ვან დაიმენი.

გოლები: სულაქველიძე (23, 51), გუცაევი (30).

გაფრთხილება სტაფლეუ.

„ფეიენოორდი" — „დინამო" 2:0 (1:0)

როტერდამი. „ფეიენოორდის" სტადიონი. 22.04.1981. 45.000 მაყურებელი. მსაჯი ე. ლინემაირი (ავსტრია).

„ფეიენოორდი": ვან ენგელენი, ნილსენი (დე ლეუვი, 67), ბრარდი, ბუდინგი (პეტერსონი, 80), ვამსტეკერსი, ბოუვენსი, ფერმეულენი, ვან ტილი, ნოტენი, პეტერსი, ვან დაიმენი.

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი, 75), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

გოლები: ბოუვენსი (48), ნოტენი (57, პენალტით).

გაფრთხილება ხინჩაგაშვილი.



დგანან (მარცხნიდან): ჩივაძე, გაბელია, ხიზანიშვილი, ყიფიანი, ანდღულაძე, სულაქველიძე, ჭილაია, ქვანია, მჭედლიძე; სხედან: სვანიძე, კოსტავა, შენგელია, კაკილაშვილი, გუცაევი, თავაძე, დარასელია.



მიხეილ იაკუშინი (სპორტის დამსახურებული ოსტატი): „თბილისის დინამომ" დამსახურებულად გაიმარჯვა ტურნირში და, კერძოდ, ფინალში. ამ გუნდის სახით გაიმარჯვა ტექნიკურმა ფეხბურთმა, თანაც უბრალოდ ტექნიკამ კი არა, არამედ, მე ვიტყოდი, უზადო ტექნიკამ.

გუნდის ჭკვიანური თამაში მინდვრის შუაგულში (ყიფიანი, დარასელია), მწვავე თამაში იერიშის დროს (გუცაევი, შენგელია) ყველაზე პროგრესული პრინციპებით წარმოებს. ერთი სიტყვით თბილისის „დინამო" ყველა მონაცემით მოწინავე გუნდია და რაც მთავარია, იგი უფრო მიზანსწრაფულად წარმართავს აქტიურ, შემოქმედებით შემტევ თამაშს, ვიდრე რომელიმე სხვა საბჭოთა გუნდი".

რიკარდო ლატანცი (მატჩის მსაჯი): „ამ ფინალის მსაჯობა დიდი სიამოვნება იყო. მხოლოდ ორ თუ სამ შემთხვევაში მომიხდა მოთამაშეთა სიტყვიერი გაფრთხილება. ასეთი მნიშვნელობის თამაშისათვის ეს სოცრიად უჩვეულო ფაქტია. „დინამომ" ჩემზე ბევრად ჰარმონიული და შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მისმა მეტოქემ".

სპეცგამოშვებაში გამოყენებულია ალექსანდრე კოტორაშვილის, თამაზ პეოშვილის, კარლოს კენტერის და საქინფორმის ფოტოები.



ნოდარ ახალკაცი



# ფინალი

„დინამო" — „კარლ ცაისი" (იენა, გდრ) 2:1 (0:0)

დიუსელდორფი. „რაინშტადიონი". 13.05.1981. 9.000 მაყურებელი. მსაჯები: რ. ლატანცი, ლ. ანიოლინი, პ. ბერგამო (ყველა იტალია).

„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი, 68), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„კარლ ცაისი": გრაპენტინი, ბრაუერი, ჰოპე (ოვერმანი, 89), შილინგი, კურბიუვაიტი, შნუპჰაზე, კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტოპფერი, 76), რააბი, ფოგელი.

გოლები: ჰოპე (63), გუცაევი (67), დარასელია (87).

არტემიო ფრანკი (უეფას პრეზიდენტი): ერთმანეთს შეხვდნენ ტექნიკური, ბრწყინვალე ინდივიდუალისტებისაგან შემდგარი კოლექტივი და ათლეტური, ულრესად ბრძოლისუნარიანი გუნდი. პირველი გოლის შემდეგ თამაში „გაიხსნა", სანახაობრივად უფრო მიმზიდველი გახდა. დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა უძლიერესმა, მაგრამ მინდორზე ორივე გუნდს მიეულოცა კარგი ფეხბურთი".

ფრენკ ტეილორი, (სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (აიპს-ი) პრეზიდენტი): იცით, რით მომეწონა ეს მატჩი? იმ ორი გოლით, როგორც ჩვენში იტყვიან, არაფრიდან რომ გაიტანეს. სწორედ ამით არის წარმტაცი ფეხბურთი. გოლის გატანა არაფრიდან იერიშის უმაღლესი კლასის ნიშანია. ქართველ ფეხბურთელთა გვარები ძნელი წარმოსათქმელია, მაგრამ ყიფიანის, გუცაევის, შენგელიას გვარები მე დავიმახსოვრე".

„დი ნოიე ფუსბალვოხე" (ბერლინი): „კარლ ცაისმა" თავისზე უკეთეს გუნდთან წააგო, რომელსაც ბევრად მრავალფეროვანი ტექნიკური არსენალი აღმოაჩნდა. ეს შესანიშნავად გამოჩნდა გუცაევისა და დარასელიას გოლებშიც... „დინამომ" საბჭოთა ფეხბურთი ისე წარმოადგინა, რომ უკეთესს ვერც ინატრებდი".





ბობი ჩარლტონი (ინგლისი): „სამხრეთელებმა გამოიცეს თავისი სიმშვიდით და თავდაჭერილობით. მაგრამ ყველაზე უფრო დასამახსოვრდა დარასელიას მიერ ბრწყინვალედ შესრულებული გოლი. ამ ეპიზოდში მან გამოავლინა უმაღლესი საფეხბურთო ინტელექტი. მე თუ მკითხავთ ეს გოლი შეტანილი უნდა იქნეს ყველა საფეხბურთო სახელმძღვანელოში".

„დი ველტი" (გფრ): „დიუსელდორფში ჩამოსულმა 150-მდე ქართველმა, როგორც მოთამაშეებმა, ასევე გულშემატკივრებმა. გვიჩვენეს ის, რაც გფრ-ის პროფესიულ სპორტში დიდი ხანია დაკარგულია — მხურვალე გული!"

„ფრანკფურტერ ალგემაინე" (გფრ): „ის, რაც ჩივაძეს, დარასელიას ან ყიფიანს ბურთთან კონტაქტში შეუძლიათ, ბუნდესლიგის ნებისმიერი მოთამაშისათვის დიდი ბატივი იქნებოდა".



„ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" (გფრ): „ქართველებმა ყველა კომპონენტში „კარლ ცაისზე" უკეთესი გუნდი წარმოუდგინეს ჩვენთვის სამარცხვინოდ მცირერიცხოვან მაყურებელს. გაშვებული გოლის შემდეგ თბილისელთა დიდმა რეჟისორმა ყიფიანმა სწრაფად მოაწესრიგა თავისი გუნდის თამაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის „დინამო" ევროპის საკლუბო ტურნირებში

ევროპის საკლუბო ტურნირებში თბილისის „დინამოს" დებიუტი შედგა 1972 წელს. უეფას თასის გათამაშების 1/32 ფინალში, პირველი მატჩი ქართველმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს თბილისში 1972 წლის 13 სექტემბერს. დინამოელთა მეტოქე იყო ჰოლანდიური კლუბი „ტვენტე" ქალაქ ენსხედედან. მას შემდეგ „დინამომ" მონაწილეობა მიიღო ათ გათამაშებაში: ჩემპიონთა თასზე — ერთხელ, თასების მფლობელთა თასზე — სამჯერ და უეფა-ს თასზე — ექვსჯერ. ყველა გათამაშებაში თბილისელებმა 51 მატჩი ჩაატარეს.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ჩემპიონთა თასი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 |
| შინ | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 |
| სტუმრად | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 |
| თასების თასი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:17 |
| შინ | 10 | 7 | 0 | 3 | 19:7 |
| სტუმრად | 10 | 3 | 3 | 4 | 9:9 |
| ნეიტრალურ მოედანზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 |
| უეფას თასი | 26 | 13 | 5 | 8 | 39:32 |
| შინ | 13 | 9 | 4 | 0 | 23:7 |
| სტუმრად | 13 | 4 | 1 | 8 | 16:25 |
| სულ | 51 | 25 | 8 | 18 | 76:57 |
| შინ | 25 | 17 | 4 | 4 | 47:17 |
| სტუმრად | 25 | 7 | 4 | 14 | 27:39 |
| ნეიტრალურ მინდორზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 |

სამივე ტურნირში თბილისის დინამოელები შეხვდნენ 18 ევროპული ქვეყნის 25 გუნდს. კენჭისყრამ ისინი ორჯერ შეახვედრა იტალიის „ნაპოლისთან" უეფას თასზე. ყველაზე ხშირად ჩვენი ფეხბურთელები შეხვედრიან ინგლისის, იტალიის და გფრ-ს (დასავლეთ ბერლინის „ჰერტა" თამაშობდა ბუნდესლიგაში) გუნდებს — სამ-სამჯერ, ორჯერ ითამაშეს ჰოლანდიისა და ბულგარეთის კლუბებთან. წინამდებარე ცხრილში მოგვყავს „დინამოს" მიერ სხვადასხვა ქვეყნის გუნდებთან ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 |
| „ინტერნაციონალე" (მილანი) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 |
| „ნაპოლი" (ნეაპოლი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 |
| ინგლისი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 |
| „ტოტენჰემ ჰოთსპური" (ლონდონი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 |
| „ლივერპული" (ლივერპული) | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 |
| „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი) | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 |
| გფრ | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 |
| „ჰერტა" (დასავლეთ ბერლინი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 |
| „ჰამბურგერ შპორტფერაინი" (ჰამბურგი) | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 |
| „ვერდერი" (ბრემენი) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 |
| „სლავია" (სოფია) | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 |
| „ლოკომოტივი" (სოფია) | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 |
| „ტვენტე" (ენსხედე) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 |
| „ფეიენოორდი" (როტერდამი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 |
| ოფკ (ბელგრადი) | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 |
| „უოტერფორდი" (უოტერფორდი) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 |
| დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 |
| „ბკ კოპენჰაგენი" (კოპენჰაგენი) | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 |
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 |
| „ლეგია" (ვარშავა) | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| „გრაცერ აკ" (გრაცი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| „ბასტია" (ბასტია) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 |
| „კასტორია" (კასტორია) | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 |
| „ვიქტორია" (ბუქარესტი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 |
| „კარდიფ სიტი" (კარდიფი) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 |
| „გრასჰოპერსი" (ციურიხი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 |
| ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 |
| „სტანდარდი" (ლიეჟი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 |
| მტკ (ბუდაპეშტი) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 |
| გდრ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 |
| „კარლ ცაისი" (იენა) | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 |

ცხრილიდან ჩანს, რომ „დინამოს" დადებითი ბალანსი აქვს იტალიის, იუგოსლავიის, დანიის, ირლანდიის, პოლონეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, ავსტრიის, საფრანგეთის და გდრ-ს წარმომადგენლებთან, ხოლო უარყოფითი — ინგლისის (ბურთების თანაბარი შეფარდებით), გფრ-ს, ბელგიის და უნგრეთის გუნდებთან. ჰოლანდიის, ბულგარეთის, უელსის და შვეიცარიის კლუბებთან შეხვედრებში თბილისელებს აქვთ მოგებათა და წაგებათა თანაბარი რაოდენობა, მაგრამ ბურთების შეფარდებით ჯობნიან ბულგარელებს და ბრიტანელებს, ჩამორჩებიან შვეიცარიელებს. დინამოსათვის ყველაზე მოუხერხებელი მეტოქეები გამოდგნენ ბუდაპეშტის მტკ, „ჰამბურგი" და ლიეჟის „სტანდარდი", რომელთაც მათ ერთი ქულაც კი ვერ წაართვეს. თავის მხრივ თბილისელებმა არ დათმეს იუგოსლავიის, დანიის, ირლანდიის, გდრ-ს და პოლონეთის კლუბებთან.

ყველაზე დიდი ანგარიშით „დინამომ" სძლია ბელგრადის კლუბ ოფკ-ს, თანაც სტუმრად — 5:1 და ირლანდიის „უოტერფორდს" (შინ) — 4:0. შვიდ მატჩში თბილისელებმა გაიმარჯვეს სამი ბურთის სხვაობით: „სლავია" — 4:1, „ბკ კოპენჰაგენი" — 4:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (სტუმრად) — 4:1, ოფკ (შინ) — 3:0, „კარდიფ სიტი" — 3:0, „ლივერპული" — 3:0, „ფეიენოორდი" — 3:0, თუმცა დინამოელებმაც იწვნიეს დიდი ანგარიშით მარცხის სიმწარე: „ტოტენჰემ ჰოთსპური" — 1:5, „გრასჰოპერსი" — 0:4, მტკ (შინ) — 1:4

ევროპის საკლუბო ტურნირების შეხვედრებში „დინამოს" ღირსებას იცავდა 51 ფეხბურთელი. აღსანიშნავია, რომ როგორც პირველ მატჩში „ტვენტესთან", ისე „კარლ ცაისთან" ფინალში გამარჯვებისას,



მოედანზე იყვნენ დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი. ორი გაფრთხილება რომ არა, მათ მიემატებოდა „ტვენტესთან" მატჩის მესამე მონაწილე, შოთა ხინჩაგაშვილიც. ისინი, სამივე შედიან თბილისელთა იმ შვიდეულში, რომელმაც ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარა ევროპის საკლუბო ტურნირებში.

შვიდეულში პირველია ალექსანდრე ჩივაძე — 40 თამაში. შემდეგ მოდიან:

2. შენგელია — 38
3. ყიფიანი — 37
4. გუცაევი — 35
5. ხინჩაგაშვილი — 32
6. დარასელია — 32
7. გაბელია — 32
8. სულაქველიძე — 31
9. მ. მაჩაიძე — 26
10. ხიზანიშვილი — 22
11. მუჯირი — 20
12. გოგია — 19
13. კანთელაძე — 18
14. სვანაძე — 17
15. კოსტავა — 16
16. ქორიძე — 15
17. ჩელებაძე — 14
18. გ. მაჩაიძე — 11
19. თავაძე — 11
20. ებრალიძე — 10
21. ჰელიძე — 8
22. ასათიანი — 8
23. გ. ნოდია — 8
24. ლ. ნოდია — 8
25. კაკილაშვილი — 8
26. ძოძუაშვილი — 7
27. წერეთელი — 7
28. ხურცილავა — 6
29. კოპალეიშვილი — 6
30. ჰილაია — 6
31. ქვანია — 6
32. ცვეიბა — 6
33. ჰედია — 6
34. რევიშვილი — 6
35. გურული — 6
36. კორღალიძე — 6
37. კეტაშვილი — 5
38. ცაავა — 4
39. არზიანი — 4
40. ქეცბაია — 4
41. გავაშელი — 4
42. ჯოხაძე — 3
43. ჩქარეული — 3
44. მესხი — 3
45. ფანცულაია — 3
46. პეტრიაშვილი — 2
47. აჯოევი — 2
48. დვალიშვილი — 1
49. კერესელიძე — 1
50. ანდღულაძე — 1
51. პაიკიძე — 1

სამივე ტურნირის მატჩებში თბილისელებმა გაიტანეს 76 გოლი. მეტოქის კარის აღება შეძლო 21-მა ფეხბურთელმა. ბომბარდირთა სიაში პირველია რამაზ შენგელია. მან გაიტანა 19 ბურთი. შემდეგ მოდიან:

2. ყიფიანი — 10
3. გუცაევი — 8
4-5. ჩივაძე და სულაქველიძე — 6
6. გ. ნოდია — 5
7. დარასელია — 4
8. ჩელებაძე — 3
9-10. მ. მაჩაიძე და ლ. ნოდია — 2
11-21. ჰელიძე, კანთელაძე, ასათიანი, ებრალიძე, გავაშელი, წერეთელი, ჰილაია, ხიზანიშვილი, ქვანია, ჰედია, გურული — 1

ვერცერთმა თბილისელმა ვერ შეასრულა „ჰეთ-თრიკი". თუმცა რვაჯერ ჩვენმა ფეხბურთელებმა გაიტანეს ორ-ორი ბურთი ერთ თამაშში. „დუბლი" სამჯერ შეასრულა შენგელიამ („ვესტ ჰემი", „გრაცერი" და „ბასტია"), თითოჯერ გ. ნოდიამ („ტვენტე"), ყიფიანმა (ოფკ), ჩელებაძემ („ბკ კოპენჰაგენი"), დარასელიამ („უოტერფორდი") და სულაქველიძემ („ფეიენოორდი"). 76-დან ოთხი გოლი თბილისელებმა პენალტით გაიტანეს. ორი თერთმეტმეტრიანი დარტყმა „გრაცერთან" შეხვედრებში ზუსტად შეასრულა შენგელიამ (თითო თამაშში თითო). თითო პენალტი გაიტანეს კანთელაძემ („კარდიფ სიტი") და ჩივაძემ („ლივერპული"). სხვათა შორის, შენგელიას ანგარიშზეა ერთი გამოუყენებელი პენალტი („ლოკომოტივი").

თბილისელთა კარშიც შვიდი ბურთი პენალტით არის გატანილი. მათი ავტორები არიან: სტოიანოვიჩი (ოფკ), პონტე („გრასჰოპერსი"), სავოლდი („ნაპოლი"), ნოტენი („ფეიენოორდი"), ზლატკოვი და სტოევი („ლოკომოტივი"), ვაიშკოვიჩი („ვიქტორია").

ჯამში, „დინამოს" კარში, სამივე ტურნირის მატჩებში გაიტანეს 57 ბურთი. 18 შეხვედრაში 24 გოლი გაუშვა დავით გოგიამ, დანარჩენი 33 გოლი გაუშვა ოთარ გაბელიამ 32 შეხვედრაში. გოგიამ გაუშვა ორი პენალტი, გაბელიამ ხუთი. გოგიამ ექვსჯერ დაამთავრა შეხვედრა გოლის გაუშვებლად, თუმცა „ტოტენჰემთან" და მტკ-სთან მატჩში გაუშვა 5 და 4 ბურთი. გაბელია უფრო „იღბლიანი" იყო. მან 10 თამაშში არ გაუშვა გოლი, მაგრამ ერთ მატჩში ვერ მოიგერია „გრასჰოპერსის" მოთამაშეთა 4 დარტყმა.

ოთარ გაბელია ერთხელ თანაგუნდელმა გააწბილა — „ჰამბურგთან" მატჩში მუჯირმა საკუთარ კარში გაიტანა გოლი. გოგია ასეთ ხვედრს გადაურჩა.

ყველაზე მეტად თბილისელები „დააზიანა" ჰოლანდიელმა იორინგმა („ტვენტე"). თბილისში, პირველ მატჩში მან ორი, ხოლო საპასუხო შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა. ერთ მატჩში, ორ-ორჯერ „დინამოს" კარი აიღეს ჩივერსმა და პიტერსმა („ტოტენჰემი"), ტაკაჩმა მტკ-დან და პონტემ („გრასჰოპერსი"). ვალში არც თბილისელები დარჩნენ. შენგელიამ „გრაცერს" ორ თამაშში სამი გოლი გაუტანა, ჩელებაძემ ასეთსავე შედეგს მიაღწია „ბკ კოპენჰაგენთან", ხოლო ყიფიანმა — ოფკ-სთან. ჩივაძე განსაკუთრებული წარმატებით თამაშობდა ბრიტანულ კლუბებთან. მან ორი გოლი გაუტანა „ლივერპულს", თითო „უოტერფორდს" და „ვესტ ჰემს".







## რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი. იმერის ლიგა. 27 აპრილი. „აიეტი“ (ქუთაისის უნივერსიტეტი) 31 — „გელათის სკოლა“ (ქუთაისი) 12.

საერთაშორისო შეხვედრა. ჩიკაგო. 4 მაისი. აშშ 27 — იაპონია 15.

ფილქინგთონის ინგლისის თასის ფინალი. თვიქნემი. 4 მაისი. „ბარლიქვინზი“ (ლონდონი) 25 — „ნორსჰემფთონი“ 13 (ძირითადი დრო 13:13).

შვეფსის უელსის თასის ფინალი. კარდიფის „არმზ ფარკი“. 4 მაისი. „ბლანელში“ 24 — „ფონთიფული“ 9.

## ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი. ტურკუ (ფინეთი). ფინალური ტურნირი. მეორე ტური. სსრკ — კანადა — 3:3, შვეცია — აშშ — 8:4, მესამე ტური. კანადა — აშშ — 9:4, შვეცია — სსრკ — 2:1.

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეცია | 3 | 2 | 1 | 0 | 13:8 | 5 |
| 2. კანადა | 3 | 1 | 2 | 0 | 15:10 | 3 |
| 3. სსრკ | 3 | 1 | 1 | 1 | 10:9 | 3 |
| 4. აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 12:23 | 3 |

## ჩოგბურთი

დევისის თასი. მეოთხედფინალი. საფრანგეთი — ავსტრალია — 3:2. ნახევარფინალში საფრანგეთი შეხვდება იუგოსლავიის გუნდს. მეორე ნახევარფინალში გერმანია შეხვდება ესპანეთ — აშშ-ის მატჩში გამარჯვებულს.

საერთაშორისო ტურნირი. ჰამბურგი. ქალები. ფინალი. შტეფი გრაფი (გერმანია) — მონიკა სელეში (იუგოსლავია) — 7:5, 6:7(4:7), 6:3.

## ბადმინტონი

მსოფლიო ჩემპიონატი. კოპენჰაგენი. გუნდური. ფინალი. სამხრეთ კორეა — ინდონეზია — 3:2. მესამე ადგილზე გავიდნენ დანია და ჩინეთი.

## თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი. შტუტგარტი (გერმანია). 3-5 მაისი. 48კგ. 1. ჰრეინერი (გერმანია); 2. ს.შოსტეცკი (პოლონეთი); 3. ვორუჟევი (სსრკ). 52კგ. 1. ვტუზუზოვი (სსრკ); 2. სკოჩმარეკი (გერმანია); 3. ტბურდენი (საფრანგეთი). 57კგ. 1. ბუმარხანოვი (სსრკ); 2. რმუსა ოღლი (თურქეთი); 3. ზ.ზოროვი (იუგოსლავია). 62კგ. 1. მკაპლანი (თურქეთი); 2. გრაშიდოვი (სსრკ); 3. რლიდინგი (გერმანია). 68კგ. 1. გ.შვაბენლანდი (გერმანია); 2. მგელერი (ისრაელი); 3. ჟსანტორო (საფრანგეთი). 74კგ. 1. ალეოპოლდი (გერმანია); 2. ნგაჯიხანოვი (სსრკ); 3. ზ.ვოგიტი (თურქეთი). 82კგ. 1. ეტაბრაილოვი (სსრკ); 2. ხგშტეტნერი (გერმანია); 3. სოზტირეკი (თურქეთი). 90კგ. 1. მ.ხადარცევი (სსრკ); 2. გტოტი (უნგრეთი); 3. ეკამბეროღლი (თურქეთი). 100კგ. 1. აკაიალი (თურქეთი); 2. აგოლოვკო (სსრკ); 3. ჰბალდი (გერმანია). 130კგ. 1. ა.შრედერი (გერმანია); 2. ო.ნანიევი (სსრკ); 3. მ.დემირი (თურქეთი). გუნდური ჩათვლა. 1. სსრკ; 2. გერმანია; 3. თურქეთი.

## ფრენბურთი

საერთაშორისო ტურნირი „გერმანიის თასი“. ბოტროპი. ვაჟები. ფინალი. კუბა — ჰოლანდია — 3:1 (12:15, 15:7, 15:8, 15:7). მატჩი მესამე ადგილისათვის. სსრკ — გერმანია — 3:0 (15:10, 15:8, 17:16).

## წყალში ხტომა

მსოფლიო თასის გათამაშება. ვინიპეგი (კანადა). 1-5 მაისი. ქალები. მეტრიანი ტრამპლინი. 1. იუი სიელინი (ჩინეთი) — 290,82; 2. ილაშკო (სსრკ) — 271,08; 3. ბბალდუსი (გერმანია) — 265,26.

3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ბბალდუსი — 285,60; 2. ილაშკო — 272,50; 3. ხბარტოვა (ჩეხოსლოვაკეთი) — 264,25. 10-მეტრიანი კოშკი. 1. ემიროშინა (სსრკ) — 277,32; 2. იუ დინხონი (ჩინეთი) — 221,79; 3. ლი იანხიანი (ჩინეთი) — 220,20. ვაჟები. მეტრიანი ტრამპლინი. 1 ვანგ იუჟი (ჩინეთი) — 398,34; 2. ლან ვეი (ჩინეთი) — 389,04; 3. ვ.სტაცენკო (სსრკ) — 379,28. 3-მეტრიანი. 1. მლენზი (აშშ) — 442,65; 2. აკილატი (გერმანია) — 428,79; 3. ტან ლიანდე (ჩინეთი) — 424,08. 10-მეტრიანი კოშკი. 1. სუნ შუეი (ჩინეთი) — 460,53; 2. დ.საუიტინი (სსრკ) — 458,25; 3.სიუნ ნი (ჩინეთი) — 444,15.

## მაგიდის ჩოგბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი. ჩიბა (იაპონია). გუნდური. ვაჟები. ფინალი. შვეცია — იუგოსლავია — 3:2. მესამე ადგილი — ჩეხოსლოვაკეთი და უნგრეთი. ქალები. ფინალი. კორეა — ჩინეთი — 3:2. მესამე ადგილი — საფრანგეთი და უნგრეთი. ერთეულები. ვაჟები. ფინალი. იორგ პერსონი-იან-უვე ვალდნერი (ორივე — შვეცია) — 3:0. მესამე ადგილი — მა ვენგე (ჩინეთი) და კიმ ტაეკ სუ (კორეა). ქალები. 1. დენ იაპინი (ჩინეთი). წყვილები. ვაჟები. ფინალი. პეტერ კარლსონი და ტომას ფონ შელე (შვეცია) — ვან ტაო და ლიუ ლინი (ჩინეთი) — 3:2. მესამე ადგილი. იორგ პერსონი—ერიკ ლინდი (შვეცია) და ანდრეი მაზუნოვი—დიმიტრი მაზუნოვი (სსრკ). ქალები. 1. გაო ცზიუნი და ჩენ ცზიხე (ჩინეთი). შერეული წყვილები. ფინალი. ვან ტაო და ლიუ კეი (ჩინეთი) — სე ჩაოცზე და ჩენ ცზიხე (ჩინეთი) — 3:0. მესამე ადგილი. კოლინ კრეანგასი (საბერძნეთი) — ოტილია ბადესკუ (რუმინეთი) და კიმ სონ ხუ-ლი მუნ ხუ (კორეა).

## მშვილდოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა 1973 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა შორის. 3-8 აგვისტო. ბათუმი. ანგისას სპორტკომპლექსი. ქალები ჩემპიონატი „ფიტას დიდი წრე“. 1. ხათუნა ქვრივიშვილი — 329 ქულა .2. ნატო ნახარიძე — 328; 3. სულიკო თოფურია (ყველა თბილისი) — 321. გუნდურ პირველობაში პირველ სამ ადგილზე თბილისელები გავიდნენ. პირველობა მ-1 ვარჯიში. 1. ქვრივიშვილი — 1321; 2. თოფურია — 1238; 3. ახმათ დიასამიძე (აჭარა) — 1209. ვაჟები: ჩემპიონატი. 1. დავით ლეკეიშვილი (თბილისი) — 313; 2. თამაზ ბასილაძე (აჭარა) — 305; 3. ალექსი ქვრივიშვილი (თბილისი) — 293. გუნდური. 1. თბილისი-1; 2. თბილისი-2; 3. აჭარა. პირველობა. 1. ქვრივიშვილი — 1104; 2. შალვა გოძიშვილი — 1008; 3. არჩილ ონაშვილი (სამივე თბილისი) — 977.

## ფეხბურთი

იუგოსლავიის თასის ფინალი. „ჰაიდუკი“ (სპლიტი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) 1:0.








## ინგლისი

ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე „არსენალი“ მიუწვდომელი გახდა „ლივერპულისთვის“. ერთი კვირის განმავლობაში გუნდებმა ორ-ორი შეხვედრა გამართეს. „ლივერპულმა“ ორივე მატჩი წააგო — ლონდონში „ჩელსისთან“ (2:4) და ნოტინგემში „ფორესტთან“ (1:2).

„ჩელსისა“ და „ლივერპულის“ მატჩის გმირი შოტლანდიელი გორდონ დიური იყო. „ჩელსის“ პირველი ორი გოლი მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა — ჯერ დიურის გადაცემით დიქსონმა გაიტანა გოლი, შემდეგ „ლივერპულის“ მცველმა დიური საჯარიმო მოედანზე წააქცია და პენალტი უაიზმა გამოიყენა. მეორე ტაიმში „ლივერპულმა“ გაიბრძოლა და ანგარიში გაათანაბრა 2:2 (გოლები გაიტანეს სპიდმ და როზენტალმა), მაგრამ „ჩელსის“ უპირატესობა აშკარა იყო: დიქსონმა და დიურიმ გამარჯვება მოუტანეს „ჩელსის“ 4:2.

„არსენალმა“ ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი „სანდერლენდთან“, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოუგო „მანჩესტერ სიტის“ (1:0). ლონდონში 30 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს „ტოტენჰემსა“ და „ნოტინგემს“ შორის. მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან ეს გუნდები სულ მალე ერთმანეთს ინგლისის თასის ფინალში შეხვდებიან. მატჩი დამთავრდა ფრედ (1:1). გოლები გაიტანეს ნაიმმა („ტოტენჰემი“) და კლაფმა („ნოტინგემი“).

„კრისტალ პალასმა“ [illegible] „უიმბლდონს“ 3:0. [illegible] რაითმა გაიტანა. „ევერტონმა“ კოტის გოლის მეშვეობით დაამარცხა „ლუტონი“ 1:0. ტურის ყველაზე დიდ მოულოდნელობად ითვლება აუტსაიდერის „დერბი ქაუნთის“ გამარჯვება „საუთჰემპტონთან“ შეხვედრაში (6:2).

ჩატარდა აგრეთვე რამდენიმე გამოტოვებული მატჩი. „ნოტინგემმა“ დაამარცხა „ლივერპული“ (2:1), ხოლო „არსენალმა“ მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“ (3:1) და მეათედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 37 | 23 | 13 | 1 | 68-17 | 80 |
| „ლივერპული“ | 37 | 22 | 7 | 8 | 75-41 | 73 |
| „კრისტალ პალასი“ | 37 | 19 | 9 | 9 | 47-41 | 66 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 36 | 18 | 7 | 11 | 60-40 | 61 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 37 | 16 | 11 | 9 | 61-51 | 59 |

## გერმანია

ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე „კაიზერსლაუტერნი“ 4 ქულით უსწრებს „ვერდერსა“ და „ბაიერნს“. „კაიზერსლაუტერნი“ უკვე ორი თვეა არ დამარცხებულა, მაშინ როცა მისი უშუალო კონკურენტები წარუმატებლად თამაშობენ და ხშირად კარგავენ ქულებს.

61 ათასი მაყურებელი დაესწრო 28-ე ტურის ცენტრალურ მატჩს ჰამბურგში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჰამბურგი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — ბურთი მე-8 წუთზე გაიტანა როიტერმა. ამის შემდეგ თავი გამოიჩინეს „ჰამბურგის“ უცხოელმა ფეხბურთელებმა: 27-ე წუთზე გოლი ბრაზილიელმა ნანდომ გაიტანა, ხოლო 77-ე წუთზე პოლონელმა ფურტოკმა — 2:1. მატჩის მიწურულს „ბაიერნმა“ მთელი ძალებით შეუტია. ანგარიში 86-ე წუთზე გაათანაბრა ტონმა, ხოლო ბოლო წუთზე ისევ როიტერმა გამარჯვება „ბაიერნს“ მოუტანა — 3:2.

„ვერდერმაც“ მატჩის ბოლო წუთებში მოახერხა დამარცხებისგან თავის დაღწევა. ბრემენელები ლევერკუზენის „ბაიერს“ მასპინძლობდნენ. ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა ლევერკუზენელმა შრაიერმა. მეორე ტაიმში „ვერდერის“ მწვრთნელმა რეჰაგელმა გარისკა და მოედანზე ორი თავდამსხმელი — ნოიბარტი და ბოდე გამოიყვანა. მთელი გუნდი შეტევაზე გადავიდა და „ბაიერის“ ფეხბურთელების რამდენიმე კონტრშეტევა კინაღამ გოლით დამთავრდა. ბრემენელები მხოლოდ მეკარე რეკის კარგმა თამაშმა გადაარჩინა, 86-ე წუთზე კი „ვერდერის“ ვეტერანმა თავდამსხმელმა კლაუს ალოფსმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება 1:1. ალოფსს გერმანიის ჩემპიონატის მატჩებში 166 გოლი აქვს გატანილი.

„კაიზერსლაუტერნმა“ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოახერხა „კარლსრუეს“ დამარცხება 3:2. ფრედ (1:1) დამთავრდა მატჩი მიონჰენგლადბახის „ბორუსიასა“ და უერდინგენის „ბაიერს“ შორის. „ბორუსიას“ გოლი მაიერმა გაიტანა, ხოლო „ბაიერის“ — შვეიცარიელმა ფეხბურთელმა შაპუისამ. 21 წლის შაპუისა „ბაიერში“ ზამთრის შესვენების დროს გადავიდა, ახლა კი ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. მანამდე იგი „ლოზანის“ ღირსებას იცავდა და შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სხვა შეხვედრები: „კიოლნი“ — „ნიურნბერგი“ 3:1, „აინტრახტი“ — „ჰერტა“ 5:1, „ფორტუნა“ — „შტუტგარტი“ 0:4, „ბოხუმი“ — „ზანქტ-პაული“ 3:0, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ვატენშაიდ 09“ 2:2.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას ვოლფარტი („ბაიერნი“) — 18 გოლი. 15-15 ბურთი გაიტანეს ახალზელანდიელმა რუფერმა („ვერდერი“) და მიოლერმა („აინტრახტი“).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაიზერსლაუტერნი“ | 28 | 16 | 8 | 4 | 57-38 | 40 |
| „ბაიერნი“ | 28 | 14 | 8 | 6 | 57-29 | 36 |
| „ვერდერი“ | 28 | 12 | 12 | 4 | 40-23 | 36 |
| „ჰამბურგი“ | 28 | 14 | 6 | 8 | 48-29 | 34 |
| „აინტრახტი“ | 28 | 12 | 9 | 7 | 52-33 | 33 |

დასასრულს უახლოვდება ყოფილი გდრ-ის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელსაც ახლა ჩრდილო-აღმოსავლეთის ლიგა ეწოდება. ლიგაში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები შემდეგ სეზონში გაერთიანებული გერმანიის 20-გუნდიან ბუნდესლიგაში იასპარეზებენ. ჩემპიონობა ვადაზე ადრე მოიპოვა როსტოკის „ჰანზამ“, რომელმაც 23-ე ტურში დაამარცხა დრეზდენის „დინამო“ — 3:1. ბუნდესლიგის მეორე საგზურისთვის პრეტენზიას რამდენიმე გუნდი აცხადებს: დრეზდენის „დინამო“, ერფურტის „როტ-ვაისი“ და „ქემნიცი“.

უეფას თასი.

ფინალის პირველი მატჩი

# თასის გზა რომზე გადის

8 მაისი. მილანი. „ინტერი“ — „რომა“ 2:0 (0:0).

„ინტერი“: ძენგა, ბერგომი, ბრემე, ბატისტინი, ფერი, პაგანინი (ბარეზი, 64), ბიანკი, ბერტი, კლინსმანი, მათეუსი, სერენა (პიცი, 89).

„რომა“: ჩერვონე, ტემპესტილი, ნელა, ბერტოლდი, ალდაირი (კარბონი, 71), კომი (მუცი, 74), ჯეროლინი, დი მაურო, ფიოლერი, ჯანინი, რიციტელი.

მსაჯი: სპირინი (სსრკ).

გოლები: მათეუსი (55, პენალტით), ბერტი (64).

გააფრთხილეს: კომი, ალდაირი, სერენა, ბარეზი, კარბონი.

უეფას თასის ფინალი იტალიის გუნდების საშინაო საქმედ იქცა. გუშინწინ, ფინალის პირველ მატჩში, მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ინტერი“ და „რომა“. მიმდინარე სეზონში ამ გუნდებმა უკვე ჩაატარეს იტალიის ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული ორი მატჩი: მილანში მასპინძლებმა გაიმარჯვეს (2:1), ხოლო რომში შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა. „ინტერს“ სატურნირო ცხრილშიც „რომაზე“ მაღალი ადგილი უკავია — რომაელი ფეხბურთელები მეათე ადგილზე იმყოფებიან, მაშინ, როცა „ინტერმა“ მხოლოდ ბოლო ტურში „სამპდორიასთან“ დამარცხების შემდეგ დაკარგა ჩემპიონობის მოპოვების პრაქტიკული შესაძლებლობა.

ერთი სიტყვით, ფავორიტად „ინტერი“ ითვლებოდა. მილანელებმა ეს მატჩი მეტოქეზე კარგად ჩაატარეს და კანონზომიერი გამარჯვება მოიპოვეს. გუნდები მოედანზე უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდნენ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „რომას“ აკლდა დისკვალიფიცირებული დეზიდერი. პირველ ტაიმში შეხვედრა ისე მიმდინარეობდა, როგორც ეს „რომას“ მწვრთნელმა ბიანკიმ დაგეგმა: მასპინძლები ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, ხშირადაც უტევდნენ, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტის შექმნა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს: 28-ე წუთზე ბერტის მიერ თავით დარტყმული ბურთი მეკარე ჩერვონემ აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ერთი წუთის შემდეგ უკვე „რომას“ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ძენგამ ალდო აუგო ფიოლერის სახიფათო დარტყმას.

პირველმა ტაიმმა მაყურებელთა მოლოდინი ვერ გაამართლა. როგორც „ინტერის“, ასევე „რომას“ ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ ბურთის გადაცემის დროს და ვერ ახერხებდნენ დაწყებული კომბინაციების ბოლომდე მიყვანას. ჩანდა, რომ „რომას“ ხელს აძლევდა მოვლენათა ასეთი განვითარება, „ინტერი“ კი კვირას „სამპდორიასთან“ ჩატარებული ძნელი მატჩის შემდეგ დაღლილი გამოიყურებოდა.

მეორე ტაიმში თამაში გამოცოცხლდა. „ინტერის“ მორიგი შეტევის დროს სტუმრებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე წააქციეს ბერტი და საბჭოთა მსაჯმა სპირინმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. „რომას“ ფეხბურთელები მსაჯს კარგა ხნის განმავლობაში უმტკიცებდნენ, რომ თამაშის წესი არ დაურღვევიათ, მაგრამ მათმა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო: მსაჯმა თავისი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. პენალტის შესრულება თანგუნდელებმა მაინც მათეუსს მიანდეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩში „სამპდორიასთან“ გერმანელი ფეხბურთელის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი გენუელთა მეკარემ მოიგერია. ამჯერად მათეუსის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:0.

9 წუთის შემდეგ „ინტერმა“ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა: კლინსმანმა, რომელმაც ამ მატჩში უზარმაზარი სამუშაო შეასრულა, გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და ბურთი უყურადღებოდ დატოვებულ ნიკოლა ბერტის გადააწოდა. ბერტის ბურთის ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია — 2:0.

ორი გაშვებული გოლის შემდეგ „რომას“ ფეხბურთელებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ. ისინი თითქმის მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტის შექმნა ვერ მოახერხეს. მათ გადაცემებს სიზუსტე აკლდა და „ინტერის“ მცველები ადვილად ახერხებდნენ „რომას“ შეტევების ჩაშლას. სამაგიეროდ, მასპინძლები სარგებლობდნენ „რომას“ შეცდომებით და სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მას შემდეგ, რაც ბერტიმ გოლი გაიტანა, ერთი წუთიც არ გასულიყო, რომ მათეუსის შესანიშნავი გარღვევა კინაღამ გოლით დამთავრდა.

მატჩის ბოლო წუთებში „რომამ“ კიდევ უფრო გააძლიერა შეტევები, მაგრამ მხოლოდ ერთი აშკარა საგოლე მომენტის შექმნა მოახერხა, ისიც „ინტერის“ ნახევარმცველის ბერტის „დახმარებით“: ბერტი საკუთარ საჯარიმო მოედანზე დაეუფლა ბურთს, ჯერ მეკარე ძენგასთვის გადაწოდებას აპირებდა, შემდეგ გადაიფიქრა, დაიბნა და ბურთი დაკარგა. „რომას“ ფეხბურთელებმა ამ მომენტითაც ვერ ისარგებლეს.

მატჩის ბოლო წუთზე „ინტერმა“ კიდევ ერთხელ გაარღვია სტუმართა დაცვა და მეორე ტაიმში გამოსული პიცის დარტყმა ჩერვონემ ძლივს მოიგერია. შეხვედრის მიწურულს ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა „ინტერის“ თავდამსხმელმა სერენამ, რომელსაც საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუწევს; მისთვის, ისევე როგორც კომისათვის და კარბონისათვის, ამ მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი მიმდინარე გათამაშებაში მეორე აღმოჩნდა.

მატჩის შედეგმა სავსებით დააკმაყოფილა „ინტერის“ ფეხბურთელები. თამაშის შემდეგ გერმანელმა ლოთარ მათეუსმა თქვა, რომ „ინტერმა“ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განმეორებით შეხვედრაში ეს ანგარიშიც გვყოფნის, რომშიც ვეცდებით გავიმარჯვოთ“, თქვა მათეუსმა. მან დასძინა, რომ „სამპდორიასთან“ დამარცხების შემდეგ უეფას თასი ერთადერთი ჯილდოა, რომლის მოპოვებაც „ინტერს“ ჯერ კიდევ შეუძლია.

# IV ეტაპი (12 მაისი)




## მონტე-კარლო

1990— აირტონ სენა (ბრაზილია)
1989— აირტონ სენა (ბრაზილია)
1988— ალენ პროსტი (საფრანგეთი)
1987— აირტონ სენა (ბრაზილია)
1986— ალენ პროსტი (საფრანგეთი)

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯუჯა სახელმწიფოს — მონაკოს დიდი პრიზი, როგორც ფორმულა 1 ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი, 1950 წლიდან თამაშდება. რბოლისთვის აქ გამოყენებულია საქვეყნოდ ცნობილი კურორტის მონტე-კარლოს ვიწრო, აღმართ-დაღმართიანი ქუჩები. ურთულესი პროფილის 3328 მეტრიანი ტრასა მსოფლიოში ყველაზე მოკლეა და ამასთან, ყველაზე „ნელმავალიც" — რბოლისას 1 წრის გავლის სარეკორდო სიჩქარეა 141,8 კმ/სთ. ამიტომ პილოტები სულ რაღაც 259,6 კმ-ის გავლას (78 წრე) თითქმის ორ საათს უნდებიან. ამ ჩახლართულ გზაზე მხოლოდ ერთი მონაკვეთია — 150 მეტრიან გვირაბიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც შესაძლებელია მაქსიმალური, მეექვსე სიჩქარის გამოყენება.



მონტე-კარლოს ვიწრო ქუჩებში გასწრება თითქმის შეუძლებელია, ამიტომ დიდ უპირატესობას იძენს ის პილოტი, რომელიც პირველი რიგიდან იღებს სტარტს და ვინც ყველაზე ადრე შედის „სენ-დევოტის" სახელით ცნობილ რთულ მარჯვენა მოსახვევში.

ერთი სიტყვით, კაზინოების ამ განთქმული ცენტრის ტრასაზე გამარჯვება კი არა, ერთი ქულის მოპოვებაც კი ფრიად საპრესტიჟო მიღწევაა. მაგალითად, შარშან, 26 პილოტიდან მხოლოდ შვიდმა მიაღწია ფინიშამდე.

მონტე კარლოში რბოლის უდიდეს სპეციალისტად ითვლება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ინგლისელი გრეჰემ ჰილი — სამოციან წლებში მან ხუთჯერ შესძლო ამ ურთულეს ტრასაზე გამარჯვება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო შვიდი რბოლიდან ექვსი „მაკლარენის" გუნდის პილოტებმა მოიგეს.

# იტალიაში — სამი წლით

როგორც ჩანს, იტალიურ კალათბურთში მომავალი სეზონიდან კიდევ ერთი უცხოელი გამოჩნდება და ეს იქნება ევროპის 1990 წლის საუკეთესო მოთამაშე, იუგოსლავიის ნაკრებისა და ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელის „პოპ-84"-ის (ყოფილი „იუგოპლასტიკა") წამყვანი კალათბურთელი ტონი კუკოჩი. იგი მზადაა იტალიის ქალაქ ტრევიზოში გადასასვლელად.

კლუბ „ბენეტონის" პრეზიდენტმა ჯილბერტო ბენეტონიმ განაცხადა, რომ კუკოჩთან გამართულმა მოლაპარაკებამ სასურველი შედეგები გამოიღო და მხოლოდ ფორმალური საკითხებიღა დარჩა შესათანხმებელი. ჩვეულებრივ, მსგავს შემთხვევებში, კონტრაქტის პირობები საიდუმლოებით მოცული რჩება. ამჯერად კი გარიგების შედეგებით აღფრთოვანებულმა კლუბის პრეზიდენტმა დაარღვია ეს დაუწერელი კანონი და ჟურნალისტებთან საკმაოდ გულახდილი გახლდათ: კუკოჩი, რომელიც სიმაღლით 208 სანტიმეტრია, იტალიურ კლუბს ხუთი მილიონი დოლარი დაუჯდება. იუგოსლაველი კალათბურთელი სამ სეზონს დარჩება ტრევიზოში.

უნდა ითქვას, რომ კუკოჩის შეძენა სურდათ მილანის „ფილიპსს" და ამერიკის პროფესიულ კლუბს „ჩიკაგო ბულსსაც". როგორც ჩანს, თვითონ კალათბურთელმა მათი პირობები ნაკლებად მიმზიდველად ჩათვალა.

— სანამ არჩევანს გავაკეთებდი, ჩემი თანამემამულის, დრაჟენ პეტროვიჩის ბედი გავითვალისწინე. მადრიდის „რეალში" იგი მშვენივრად გრძნობდა თავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკის კლუბ „პორტლენდ ტრეილ ბლეიფერსში" გადავიდა, დაიკარგა და „ნიუ-ჯერსი ნეთს" მიჰყიდეს. მისი საქმე არც აქ მიდის კარგად. ყველაფერმა ამან ძალიან იმოქმედა დრაჟენზე. ჩემი აზრით, არ ღირს ოკეანის გაღმა გამგზავრება ნერვების მოსაშლელად, — ასე ხსნის თავის გადაწყვეტილებას ტონი კუკოჩი.

ჯილბერტო ბენეტონმა განაცხადა, რომ კუკოჩი გუნდს შეუერთდება მაისის ბოლოს, როდესაც იტალიის ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი დასრულდება. საქმე ის არის, რომ ამჟამად „ბენეტონში" თამაშობს ორი ამერიკელი — ვინი დელ-ნეგრო და დენ გეივი, ხოლო იტალიის ჩემპიონატის წესების თანახმად თითოეულ გუნდში მხოლოდ ორი უცხოელი შეიძლება გამოდიოდეს. ასე რომ, ერთ-ერთ ამერიკელს გუნდის დატოვება მოუწევს.

მოამზადა გიორგი ქორქიამ.

# ტრაპატონი ისევ „იუვენტუსში"?

იტალიის ფეხბურთელთა ჩემპიონატში დამკვიდრებული ტრადიციით აპრილის დამლევსა და მაისს „მწვრთნელთა ვალსს" ეძახიან. ესოდენ ლირიკული სახელი დროის ამ მონაკვეთს ჟურნალისტებმა უწოდეს, რომელთაც ზოგჯერ თვით ყველაზე საიდუმლო ამბებიც კი არ დაემალებათ. კლუბების ხელმძღვანელები მკაცრად იცავენ წესს — „არაფერი დამინახავს, არაფერი გამიგონია", მაგრამ გაზეთებში დროდადრო მაინც „გაიპარება" ხოლმე ინფორმაციები იტალიის გუნდებში მწვრთნელთა სავარაუდო შეცვლის თაობაზე.

ცინცხალი ინფორმაციების მოპოვებაში „ჩემპიონად" ითვლება იტალიის უდიდესი სპორტული გაზეთი „კორიერა დელო სპორტი", რომელსაც თვით კლუბების მესვეურთა სეიფებში საგულდაგულოდ „ჩაკეტილ" ცნობებზეც კი მიუწვდება ხელი. გაზეთი უტყუარ წყაროებს ეყრდნობა, როცა მილანის „ინტერის" საშინაო საქმეებზე წერს. ამჯერად მისი ინფორმაცია გუნდის მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის ეხება. იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი არ უარყოფს ცნობას, რომ შეხვდა და ესაუბრა ტურინის „იუვენტუსის" პატრონს ჯანი ანიელის. ანიელიმ თანამშრომლობა შესთავაზა ტრაპატონის. მწვრთნელი, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ „ინტერში" გადავიდა, მზად არის ისევ გაუწოდოს დახმარების ხელი თავის ყოფილ კლუბს.

მილანის კლუბის ბანაკიდან კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა: „ინტერის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელის პოსტი შესთავაზა ფრანც ბეკენბაუერს, რომელმაც თითქოს უკვე მისცა წინასწარი თანხმობა კლუბის ხელმძღვანელობას და მომავალი სეზონიდან სათავეში ჩაუდგება გუნდს. ამ ცნობას განსაკუთრებით გულმხურვალედ უჭერს მხარს მილანის გუნდის „გერმანული ტრიო" — ლოთარ მათეუსი, იურგენ კლინსმანი და ანდრეას ბრემე.

როგორც ჩანს, რეფორმებს ვერც „ნაპოლი" გადაურჩება — ყოფილი ფავორიტი, რომელიც ერთ წელში საშუალო გუნდად იქცა და მარადონას წასვლის შემდეგ „ობლად დარჩა". აქ ალბერტო ბიგონის ადგილს ალბათ „კალიარის" დღევანდელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი დაიკავებს.

იმედი მიეცათ „სამპდორიის" გულშემატკივრებსაც. იმავე „კორიერა დელო სპორტის" ცნობით, იუგოსლაველმა მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა, რომელიც სეზონის დამთავრებიდან მადრიდის „რეალში" აპირებდა გადასვლას, ახლა განაცხადა, მინდა კიდევ ვიფიქრო. ბოშკოვს გენუაში დარჩენა შესთავაზეს და მწვრთნელს სურს კარგად აწონ-დაწონოს ეს წინადადება.



ჯოვანი ტრაპატონი (მარცხნივ) და „ინტერის" პრეზიდენტი პელეგრინი

# პოლგარების ზოგიერთი საიდუმლო



დღეს ბევრს წერენ უნგრელი დების პოლგარების (ფოტოზე მარცხნიდან: იუდითი, სოფი, ჟუჟა) შესახებ. მკითხველს ვთავაზობთ ოჯახის უფროსის ლასლო პოლგარის სტატიას, რომელიც ჟურნალ „FOKUSO"-ში დაიბეჭდა.

## 1. აღზრდა ასეთი გზითაც შეიძლება

ზუსტად არ არის ცნობილი, ინტელექტუალური შესაძლებლობების რა ნაწილი გადაიცემა მემკვიდრეობით და რა ნაწილი გამომუშავდება გარემოს გავლენით. ამიტომ ახლა სულ უფრო ხშირად ცდილობენ უნარის ფორმირებასა და განვითარებას (თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილი იქნებოდა განსჯავები მემკვიდრეობისათვის მიგვეწერა, ვიდრე გამოგვეკვლია რა სოციალური ფაქტორები განსაზღვრავენ ინდივიდუუმის ნიჭსა და უნარს რთულ რეალობაში).

ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი ფსიქოლოგი უოტსონი, თავგამოდებით ამტკიცებდა, მომეცით ათი ჯანსაღი ჩვილი ბავშვი და მათგან სურვილისამებრ აღვზრდი ნებისმიერს მეცნიერიდან დაწყებული, დამნაშავით დამთავრებული. თვალსაჩინო საბჭოთა ფსიქოლოგის ტურჩენკოს აზრით, არასწორია გამოთქმა „გენიოსები იშვიათად იბადებიან", რადგან სინამდვილეში მათ იშვიათად ზრდიან გენიოსებად. თავად მე უოტსონის, ტურჩენკოსა და სხვათა ოპტიმისტური ტენდენციისკენ ვიხრები. სწორედ ამიტომ დავიწყე ჩემი სამი შვილის ნიჭის გამოკვლევა და განვითარება. ეს გეგმა ჯერ კიდევ მათს დაბადებამდე შევიმუშავე.

ნიჭიერი ბავშვების ყველაზე აღიარებული ექსპერტი დოქტორი ჰარმანი წერდა: „ჩემი მტკიცებით, პოლგარების ოჯახის ექსპერიმენტი ყველაზე მნიშვნელოვანია უნგრეთის ათასწლოვან ისტორიაში. რაოდენ დიდი წარმატებით შეგვეძლო გვესწავლებინა ამ მეთოდით ნიჭიერი ბავშვებისათვის, რათა მათი ნიჭი სრულად გაფურჩქნულიყო.

უოტსონს არ შეეძლო დაემტკიცებინა თავისი მოძღვრების სისწორე, ვინაიდან მისთვის ათი ბავშვი არავის მიუცია. სწორედ ამიტომ მიმაჩნია პოლგარების ექსპერიმენტი ყველაზე მნიშვნელოვან უნგრულ ფსიქოპედაგოგიურ ექსპერიმენტად. აქ ერთბაშად სამ ბავშვზეა ლაპარაკი".

## 2. ყველა ბავშვი გენიალურია

პატარა ბავშვების სწავლებასა და აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ტვინის ევოლუციისათვის აუცილებელია არა მარტო მატერიალური საზრდო, არამედ ადრეული სტიმულაციაც. 3-6 წლის ასაკში ყველა ბავშვი გენიალურია. ჯერ კიდევ ბაგა-ბაღის პერიოდამდე მათ აქვთ უზარმაზარი პოტენციალი, რომელსაც სწავლაში გაცილებით ინტენსიურად უნდა ვიყენებდეთ, ვიდრე ვიყენებთ.

უკვე 1-4 წლის ასაკში ისინი დიდძალ ინფორმაციას ღებულობენ. განსაკუთრებით კარგად ეგუებიან გარემოს ზემოქმედებას. მათი ბევრი ღირსება უფრო იოლად და ეფექტურად ყალიბდება, ვიდრე უფროსებისა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტვინში უჯრედების რაოდენობის ზრდის შედეგად წარმოიშობა ახალი ურთიერთკავშირები, ხოლო შემდეგ, როცა ტვინი უკვე მთლიანად განვითარებულია, ეს უნარი ეფექტურობას კარგავს. ამის გამო ადამიანი, რაც წლები გადის, სულ უფრო უარესად სწავლობს.

არაკეთილისმყოფელი გარემოებები განსაკუთრებით ზიანს აყენებენ ბავშვს სიცოცხლის პირველი 6-10 წლის განმავლობაში. აღზრდის მომდევნო ეტაპებზე ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია იმის ანაზღაურება, რაც განვითარების ადრეულ პერიოდში არ გაკეთებულა. ამერიკელი ფსიქოლოგის მაია პინესის აზრით, მილიონობით ბავშვი მაქსიმალურად ვერ ვითარდება იმის გამო, რომ ცხოვრების კრიტიკულ პერიოდში — დაბადებიდან 6 წლამდე — არ ხდება მათი ინტელექტუალური განვითარების სტიმულირება.

გაბატონებულია აზრი, თითქოს ექვს წლამდე ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან მომწიფებულნი სწავლისათვის. ჩემი აზრით, პირიქით, უფროსების უმრავლესობა არ არის მომწიფებული იმისათვის, რომ ბავშვებს ასწავლოს. თუ გვინდა მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ, საჭიროა „არ დავთმოთ" ისინი ადრეულ ასაკში. „ვუნდერკინდების" წარმატებები შემთხვევითი არ არის, მე სავსებით ვეთანხმები ლესინგის გამონათქვამს: „საოცრებათა შორის ყველაზე განსაცვიფრებელია ის, რომ ნამდვილი სასწაულები შეიძლება მოხდეს სინამდვილეში და მეტიც, უნდა მოხდეს სინამდვილეში".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# აქეთური, იქითური...

მარსელის ოლიმპიკის წამყვანი ფეხბურთელები ჟან-პიერ პაპენი და ქრის უოდლი როკ-მუსიკის მოყვარულები არიან. თანამედროვე მუსიკალურ ცხოვრებას ისინი თვალს ადევნებენ თავიანთი მეგობრების მეშვეობით საფრანგეთში პოპულარული ჯგუფი „დებიუ დე სუარიდან". თავის მხრივ მუსიკოსებსაც აქვთ ჰობი — ფეხბურთისა და ბურთის თამაშის საიდუმლოებას თავიანთი მეგობრების ჟან-პიერისა და ქრისის მეშვეობით ეცნობიან.

■ ■ ■

„სარბიელი" იუწყებოდა, რომ მაისში ბელგიელი ძიუდოისტი ქალი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ინგრიდ ბერგმანი ცოლად მიჰყვება ასევე ძიუდოისტ მარკ ვალოს. ახლა ცნობილი გახდა, რომ ქორწინების შემდეგ ინგრიდი მიწვეულია მთავარ როლზე ფილმში „შუშის სახლი". ინგრიდი შეასრულებს ახალგაზრდა არქიტექტორის როლს, რომელსაც ბევრი თავგადასავალი ელის.

■ ■ ■

ახალ სეზონში ავსტრიის პირველი და მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბები სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელნი გახდებიან და ქვეყნის საფეხბურთო კავშირზე აღარაფრით იქნებიან დამოკიდებულნი. გარდა ამისა ორივე დივიზიონის გუნდში შესაძლებელი იქნება სამი უცხოელის გამოყვანა და არა ორის, როგორც აქამდე.

■ ■ ■

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამერიკის შეერთებულ შტატების დედაქალაქში აშენდება ახალი სტადიონი 70000 მაყურებლისათვის. მისი მშენებლობა სარეკორდო დროში — 18 თვეში დამთავრდება. სტადიონის პროექტი თითქმის მზადაა და ვაშინგტონის მუნიციპალიტეტი უკვე ეძებს მისთვის შესაფერის ადგილს.

■ ■ ■

მონაკომ წარმოადგინა თავისი კანდიდატურა სატრეკო ველორბოლაში 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად. თუმცა ამ „ჯუჯა" სახელმწიფოში არ არის... ველოდრომი და დახმარებისათვის საფრანგეთის ქალაქ იენსა და იტალიის ქალაქ გენუას მიმართეს.

■ ■ ■

უეფა-ს აღმასკომმა ლონდონში ჩატარებულ ამასწინანდელ სხდომაზე გადაწყვიტა დაუშვას ისრაელი ევროპის საფეხბურთო შეჯიბრებებში. ახლა ეს საკითხი დასამტკიცებლად უნდა გაიტანონ უეფა-ს კონგრესზე, რომელიც მომავალ წელს სტოკჰოლმში გაიმართება. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ისრაელის კლუბები მონაწილეობას მიიღებენ 1992-93 წლების ევროპის საკლუბო ტურნირებში, ნაკრებს კი დაუშვებენ მომდევნო ევროპის ჩემპიონატში.

■ ■ ■

მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა ივან ლენდლმა ახალი კონტრაქტი გააფორმა ცნობილ ფრანგულ ფირმასთან, რომელიც ჯინსებს უშვებს. ახალგაზრდებს შორის დიდი მოთხოვნილების მქონე ნაწარმის რეკლამისათვის ლენდლი 3,4 მილიონ ფრანგულ ფრანკს მიიღებს.

■ ■ ■

მუდმივი სასჯელი დაედო სახელგანთქმულ ჰოლანდიელ ფეხბურთელს რუუდ გულიტს. ამსტერდამის სასამართლომ, რომელმაც განიხილა მისი განქორწინების საქმე, გამოიტანა ძალიან მკაცრი განაჩენი: რუუდი თავის ყოფილ მეუღლეს ივონს ყოველწლიურად 17000 დოლარს გადაუხდის... თავისი ცხოვრების ბოლომდე.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი: თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30. გაზეთ „სარბიელის" რედაქცია. ტელეფონი: 38-39-98.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 36-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟულუხაძე.